შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№8 (9.573)

9–15 მარტი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

საყოველთაო ნათლობა სამთაწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში, აზერბაიჯანის საზღვართან, 3 მარტს საყოველთაო ნათლობა გაიმართა. სამთაწყაროს სამლოცველო სახლში დილიდან ხორნაბუჯისა და ჭერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ საკვირაო წირვა აღავლინა, შემდეგ კი ნათლობის რიტუალი ჩაატარა.

მირონის მადლით ცხებული

უძღები შვილის ხსენების დღეს აჭარიდან სამთაწყაროში ჩამოსახლებული ეკომიგრანტები, ინგილოები და სოფელ ფიროსმანსა და არხილოსკალოში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის ადამიანები მოინათლნენ. ქრისტიანულ სარწმუნოებას 30-ზე მეტი ადგილობრივი ეზიარა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, იყვნენ მუსულმანური ოჯახებიც, რომელებიც ქრისტიანული წესით მოინათლნენ. გაქრისტიანება საკუთარი სურვილით გადაწყვიტეს თაგოშვილებმა, შაინიძეებმა, ქორფაშვილებმა, ქარცივაძეებმა, ბერიძეებმა, სარდალაშვილებმა, სოზაშვილებმა, ბუჩუკურებმა და სხვებმა. ეპარქიამ მონათლულებს საჩუქრად ხატები და ხის ჯვრები გადასცა.

„მინდა მივულოცო ყველა მონათლულს, ყველა აჭარელს და ჰერელს. ძალიან დიდი დღეა ჩვენი ეპარქიისთვის, ჩვენი მრევლისთვის და ქვეყნისთვის. ჩვენ ვიცით, რომ ეს ადამიანები იყვნენ ქრისტიანობის პირველი შემომტანი და გამავრცელებელნი ამ ჭეშმარიტი სარწმუნოებისა. ცნობილია ისიც, რომ აჭარელებმა ისტორიულად რა სიძნელეები გამოიარეს, ამიტომაც დღეს დიდი სიხარულია, ისინი უბრუნდებიან თავის წინაპართა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. არიან სამთაწყაროსა და მეზობელი სოფლებიდანაც, არხილოსკალოსა და ზემო ქედიდან, თუმცა ამ საყოველთაო ნათლობის ჟამს უმეტესი წილი აჭარელია. მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მეუფე მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით აღესრულა ეს დიდი დღე და მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ამ მხრივ ხალხის მოთხოვნა კიდევ არის. ბევრი მოსურნეა, რომ ამ უდიდეს საიდუმლოებას ეზიაროს,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დეკანოზმა გაბრიელ ბენიაიძემ.

ადგილობრივების განმარტებით, ამ დრომდე არ ეძლეოდათ საშუალება წირვა-ლოცვებს დასწრებოდნენ და შვილები ქრისტიანული წესით მოენათლათ. სამთაწყაროელი პედაგოგები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ აჭარელ ეკომიგრანტთა ოჯახების ნაწილი თანხმობას აცხადებს მოზარდებმა ქრისტიანობა მიიღონ. გაქრისტიანების მიუხედავად ამ ოჯახების ზოგიერთი წევრი კვლავაც ძველ რწმენაზე რჩება.

„საინგილოდან ვარ გადმოსული, სამთაწყაროში ვარ გათხოვილი და აქ ვცხოვრობთ. 10 და 12 წლის ბავშვები მყავს და ახლა მოვნათლე. აქამდე არ მქონდა საშუალება მომენათლა. ხან მოძღვარი არ იყო, ხან ჩემს ოჯახს ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა დედოფლისწყაროში ავსულიყავით, ან კახის რაიონში გადავსულიყავით და იქ მოგვენათლა და ამდენ ხანს ამიტომ დარჩნენ. მე კახში მოვინათლე. სანამ სამთაწყაროში სამლოცველო სახლი მოეწყობოდა ამხელა ასაკის ვარ და ამ დრომდე არ დავსწრებივარ წირვას, მხოლოდ ახლა დავინყე სიარული. რაც აქ მამაო მოვიდა, უკვე დავდივართ. თუ ეკლესია არ იყო და წირვა-ლოცვა არ ჩატარდა, რწმენა ვერ გაღრმავდება. აქამდე არ გვქონდა საშუალება. ამ სოფელში ნარევი მოსახლეობა ცხოვრობს, ინგილოები ყველა ქრისტიანები ვართ, მაგრამ აჭარელი ეკომიგრანტების უმრავლესობა ქრისტიანი არ არის. თუმცა, მოზარდების ნაწილი ქრისტიანულად მოინათლა. ქრისტიანი გოგონები საინგილოშიც თხოვდებიან, აჭარლებზეც, მაგრამ ვერ გეტყვით ამ დროს იცვლიან თუ არა რწმენას. - ამბობს სამთაწყაროს მკვიდრი როზმარ ბერიკაშვილი.

„ჩემმა შვილმა მონათლა თავისი კლასელი გოგონა. იმდენი ელაპარაკა, რომ დაარწმუნა და ქრისტიანობის მიღება გადააწყვეტინა. ალბათ, მისი წინაპრების გავლენა დიდი იყო და ამიტომ დაგვიანდა. თუმცა, ქრისტიანობისკენ ბევრი მობრუნდა... სკოლაში რომ მოდიან, ექსკურსიებზე რომ დავდივართ და ხედავენ ეკლესიებს, სანთლებს ანთებენ, ჯვრებს ყიდულობენ. უნდა ითქვას, ახალგაზრდობა უფრო მოუბრუნდა ქრისტიანობას, თუმცა ძველი თაობა ჯერჯერობით ისევ ისეა. კარგია, რომ მშობლები შვილებს ნებას რთავენ, პატარები ქრისტიანული წესით მოინათლონ, თავად კი ისევ თავს იკავებენ. მრევლი ძალიან მცირე იყო სამთაწყაროში, მაგრამ რაც ეპარქია შეიქმნა და სოფელში სამლოცველო სახლი მოეწყო, მას მერე სასიკეთო ძვრები დაიწყო. ვცდილობთ, მოსახლეობამ ეკლესიის მშენებლობაშიც მივიღოთ მონაწილეობა. არსებობს ილია მეორის მიერ ნაკურთხი ადგილი. სექტების მოქმედებაც სერიოზულ პრობლემად რჩება, ძალიან არის მომრავლებული,“ - აცხადებს სამთაწყაროს სკოლის პედაგოგი.

მსგავსი მასშტაბური ნათლობა დედოფლისწყაროში 2010 წლის აპრილშიც ჩატარდა. მაშინ სოფელ ფიროსმანში მცხოვრები 32 მაჰმადიანი ეკომიგრანტი ქრისტიანული წესით მოინათლა. თუმცა, ამ შემთხვევისგან განსხვავებით, მაშინ მსურველები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მონათლეს.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში საარსებო შემწეობა 58 ოჯახს შეუწყდა, ხოლო 550 ოჯახს შეუჩერდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოციალური მომსახურების სააგენტოს „სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის“ ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ მოქალაქეთა ნაწილს დახმარება მოეხსნა.

როგორც დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოში განმარტავენ, ამჯერად საარსებო შემწეობა 58 ოჯახს შეუწყდა, ხოლო 550 ოჯახს შეუჩერდა.

„დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე მცხოვრები ეს 550 ოჯახი ბოლო სამი წლის განმავლობაში არ შემოწმებულა, ამიტომაც ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ოჯახებში ცალკეული ცვლილებები მოხდა. ამჯერად ხელახლა გადამოწმდა 2010 წელს შემოწმებული ოჯახები. დაფიქსირდა სხვადასხვა სახის შემოსავლები, რის გამოც ამ ეტაპზე მათ დახმარების გაცემა შეუჩერდათ. ხელახალი ქულების მინიჭების შემდეგ გახდება ცნობილი, ამ ოჯახებიდან რა ნაწილს აღუდგება საარსებო შემწეობის გაცემა. შესაძლოა, უმრავლესობა კვლავაც დახმარების მიმღები იყოს, ამიტომ ამ ეტაპზე იმის თქმა, რომ ამდენი ოჯახი დახმარების გარეშე რჩება, მართებული არ იქნება. ასევე, შემოსავლის წყაროები დაუფიქსირდათ იმ ოჯახებს, რომელთაც უკვე შეუწყდათ დახმარების გაცემა,“ - აცხადებენ სოციალური მომსახურების სააგენტოში.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში მიმდინარე წლის დასაწყისში საარსებო შემწეობით 1 863 ოჯახმა ისარგებლა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამჯერად იმ ოჯახების სიაში, რომელთაც დახმარება მთლიანად მოეხსნათ, მრავალშვილიანი ოჯახიც გახლავთ. დედოფლისწყაროში მცხოვრებ 5 შვილის დედას, ელიზა წიკლაურს საარსებო შემწეობა იმ მიზეზით შეუწყდა, რომ ის დასუფთავების სამსახურში მეეზოვედ მუშაობს. თუმცა, ის შვილებს მარტო ზრდის და არც საკუთარი ჭერი გააჩნია.

ილია მარტყოფლიშვილი

„ბარის ფშაველების“ ბედი გაურკვეველია

გვ. 6

რატომ გაახალგაზრდავდა კახეთში ნარკომომხმარებელთა ასაკი და რა საშიში ტენდენციები გამოიკვეთა რეგიონში

გვ. 5

პრეზენტაცია რვა წლის თავზე

გვ. 4

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რაიონული ცენტრებისთვის მანქანები შეიძინა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში კომპანია ჩთ Motors-მა გაიმარჯვა. 54 „სუზუკი ჯიმნის“ მარკის მანქანა ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში გაიგზავნება.

საკონსულტაციო სამსახურებს კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის კუთხით არსებული პრობლემების ადგილზე შესწავლა და ვითარების ანალიზი ევალება, რაც, თავისთავად, რაიონის მასშტაბით ხშირ გადაადგილებას ითვალისწინებს. კომპაქტური, მაგრამ მძლავრი და მაღალი გამავლობის „სუზუკი ჯიმნის“ ავტომობილები საგანგებოდ შეირჩა რეგიონებში ძნელად სავალი გზებისა და მიუდგომელი ადგილებისთვის.

საკონსულტაციო ცენტრების დაკომპლექტება 20 მარტს დასრულდება, რის შემდეგაც სამსახურები სრულყოფილად ამოქმედდება და ადგილობრივ ფერმერებსა და გლეხებს მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე კვალიფიციურ კონსულტაციას გაუწევს. ცენტრებში ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი კონკურსის გავლის შედეგად 250-მდე პროფესიონალი დასაქმდება..

საშუალო და მცირე საწარმოთა ბრუნვა გაიზარდა

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის თებერვალში ამორტყმული ჩეკების რაოდენობამ თითქმის 2 მილიონით გადააჭარბა გასული წლის თებერვლის მონაცემებს.

„აღნიშნული ჩეკებით გადახდილი თანხის მოცულობა დაახლოებით 150 მილიონი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ეს ასახავს ქვეყანაში ბიზნესის, მათ შორის, საშუალო და მცირე საწარმოთა ბრუნვის ზრდის ტენდენციას და გაყიდვების მოცულობის მატებას“, — აცხადებენ სამინისტროში.

უწყების ინფორმაციით, ზრდა დაფიქსირდა ასევე მიმდინარე წლის იანვარშიც, როგორც ამორტყმული ჩეკების რაოდენობის, ასევე ჩეკებით გადახდილი თანხების მოცულობის მიხედვით.

სტაჟიორთა გასაუბრება გამგეობაში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლის მსურველთა გასაუბრება ჩატარდა. გასაუბრებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

სტაჟიორთა შერჩევას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, გამგებლის მოადგილეები და გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში ერთწლიანი უფასო სტაჟირების გავლის ინიციატივა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს ეკუთვნის.

2013 წლის 25 იანვარს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივას მხარი ერთხმად დაუჭირა. შესაბამისი დებულებით სტაჟიორთა რაოდენობა ოცდახუთით, ხოლო სტაჟირების ვადა ერთ წლამდე განისაზღვრა.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, თვითმმართველობის ორგანოში სტაჟირების მსურველთა შერჩევა გრძელდება.

გამგეობის პრესსამსახური

სკოლებში სამეურვეო საბჭოებს ვადა გაუგრძელდათ

2013 წლის პირველ თებერვლამდე მოქმედ საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრებს უფლებამოსილება 2013 წლის 1 ივნისამდე უგრძელდებათ. შესაბამისი ცვლილებები ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შედის.

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ ბახუტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა,

„სკოლებში ახალი ბიუჯეტირება მოხდა, მოგეხსენებათ, პედაგოგებს ხელფასი გაეზარდათ... ბიუჯეტს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს და რომ არ მომხდარიყო ამ პროცედურის დარღვევა, ამიტომაც გადაწყდა დროებით მათი უფლებამოსილების გაგრძელება,“ - აღნიშნავს ბახუტაშვილი.

კანონპროექტის მიხედვით, ასევე, განისაზღვრება სკოლის დირექტორის შესაძლებლობა შეასრულოს სამეურვეო საბჭოს ფუნქციები, საბჭოს დათხოვნის, უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან ვერარჩევის შემთხვევაში.

ილია მარტყოფლიშვილი

მარტის თვეა თქვენი...

ისევე როგორც სხვა ქალაქებში, მარტის თვე შესაბამისი ღონისძიებებით დაიწყო დედოფლისწყაროშიც. 7 მარტს ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე სადღესასწაულო კონცერტი ,,დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო!“ გაიმართა.

ღონისძიება მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა და მასში ადგილობრივი ანსამბლები მონაწილეობდნენ. ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო საღამო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველი დედების საპატივსაცემოდ მოეწყო და კიდევ ერთხელ მათ დაფასებას და მოფერებას ისახავდა მიზნად.

კონცერტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გოგონათა და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობენ და საზოგადოების სიმპათიებს იმსახურებენ. მშობლიურ სცენაზე ჩვეული ოსტატობით შესრულებული სხვადასხვა ნომრების შემდეგ მათ არც ახლა დაკლებიათ მქუხარე აპლოდისმენტები.

კონცერტზე მაყურებლის წინაშე წარსდგა მომღერალი ვასიკო ტუხაშვილი, რომელიც ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ფიროსმანის“ ვეტერანი მომღერალია და მას ადგილობრივები კარგად იცნობენ. ფანდურზე იმღერეს დებმა ლოლაშვილებმა. რაც მთავარია, ყველა სიმღერა და სცენიდან წარმოთქმული ყოველი სიტყვა ქართველ დედებს და ქალებს ეძღვნებოდა.

ღონისძიებას რიგით მაყურებელთან ერთად, დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. დარბაზს მაყურებელი კმაყოფილი ტოვებდა და აღნიშნავდა, რომ კულტურის მესვეურებმა ადგილობრივებს კიდევ ერთი ღამაზი დღე აჩუქეს.

ილია მარტყოფლიშვილი

სასაზღვრო სამმართველო მორიგეობის გამარტივებულ რეჟიმზე გადავიდა

სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველომ 1 მარტიდან მორიგეობის გრაფიკი შეცვალა. როგორც სამმართველოში აცხადებენ, ამიერიდან მესაზღვრეები 1/1 პრინციპზე გადავიდნენ, რაც მორიგეობის გამარტივებას გულისხმობს.

ამ დრომდე მესაზღვრეები 14 დღის განმავლობაში მუშაობდნენ, მომდევნო 7 დღე კი ისვენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მათი გრაფიკი გაცილებით გართულდა, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შემცირდა დასვენების დღეების რიცხვიც, რაც მესაზღვრეების სერიოზულ პროტესტს იწვევდა. მიმდინარე წლის მარტიდან ამოქმედებული ცვლილებების მიხედვით კი 10 დღიანი მორიგეობის შემდეგ ისინი 10 დღით დაისვენებენ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მესაზღვრეები ბოლო რამენიმე წლის განმავლობაში მუდმივად მორიგეობის გრაფიკის გამარტივებას ითხოვდნენ, თუმცა, სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი დემურ კეკენაძე მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა.

რამდენიმე წლის წინ, გრაფიკის გამკაცრებამ თავად სამმართველოშიც ბევრი გაუგებრობა გამოიწვია. ნაწილმა გაზრდილ დატვირთვას და ოჯახებისგან 2 კვირის განმავლობაში მოწყვეტას ვერ გაუძლო და სამსახურის დატოვება მოუხდა. რაც მთავარია, მესაზღვრეებმა დღემდე ვერ დაადგინეს, სამუშაო გრაფიკი ვისი მიზეზით გართულდა. სამმართველოს კულუარებში ნაწილი ამ გადაწყვეტილებას დემურ კეკენაძის ახირებად მიიჩნევდა, ნაწილს კი არწმუნებდნენ, რომ ამგვარი მითითება უფრო ზემოდან მიიღეს.

სასაზღვრო სამმართველოს თანამშრომლების დიდი ნაწილი მათი სამსახურის სპეციფიურობიდან გამომდინარე მედიასთან მათ პრობლემებზე ღიად საუბარს და ვინაობის საჯაროდ გამხელას ერიდებიან. თუმცა, პირად საუბრებში, საკუთარ სამეგობროსა და საახლობლოში ისინი არასოდეს მალავდნენ, რომ ერთმანეთის თანმიმდევრულად, 14 დღეღამის განმავლობაში აზერბაიჯანის საზღვართან მორიგეობა გაუსაძლისია, მით უფრო, რომ ამის გამო მათ არც ფინანსური ანაზღაურება გაზრდიათ.

„ძალიან რთულია, ცოლ-შვილი, მოხუცი მშობლები ორი კვირით მიატოვო და მინდორში გადაიხვეწო. მითუმეტეს, რომ თვეში მხოლოდ ერთ კვირას ვისვენებდით... ბევრჯერ ვითხოვეთ, ისევ 1:1 პრინციპზე გადავეყვანეთ, მაგრამ არავინ გვისმინა, ზემოდანაა მითითებაო, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გაირკვა, რომ არავისგან არ წამოსულა მითითება და სამმართველო საკუთარ გრაფიკს თავად განსაზღვრავს. აღმოჩნდა, რომ კეკენაძის ახირების გამო წლების მანძილზე რთულ პირობებში ვმუშაობდით. ახლა ცოტა შვებას ვიგრძნობთ, ყველას გაუხარდა, გრაფიკი რომ შეიცვალა და ახალმა ხელმძღვანელობამ ჩვენი მრავალწლიანი თხოვნა გაითვალისწინა,“ — აცხადებენ დედოფლისწყაროელი მესაზღვრეები.

ჩნდება კითხვა, რა ინტერესი ამოძრავებდა დემურ კეკენაძეს ერთი „სმენა“ გაეუქმებინა, დარჩენილი დღეები დანარჩენ ჯგუფებზე დაემატებინა და მესაზღვრეებისთვის დატვირთვა გაეზარდა? სად მიდიოდა ამ ცვლილების შედეგად დაზოგილი თანხები?...

ილია მარტყოფლიშვილი

„დარდს ხომ გვერდით სიხარული სდევს...“

საოჯახო ალბომის თავფურცელზე სამი მშვენიერი, ახალგაზრდა მამაკაცის სურათია დამაგრებული. თითოეულს თავისი წარწერა აქვს: აკაკი-დაიბადა 1952 წელს, ნოდარი -დაიბადა 1955 წელს, ვაჟა- დაიბადა 1966 წელს. თავფურცელზე ერთი თარიღი აკლია, 2000 წელი- ნოდარი გარდაიცვალა, ეს თარიღი სევდად და ტკივილად დევს დედის გულში, ის გაუნელებელ ცეცხლად ანთია, რომლის ალზეც იფერფლება შვილმკვდარი დედის სიცოცხლე. მაგრამ არა, თავფურცელს არ დაეწერს ამ თარიღს, ძმებში არ



გამოარჩევს, ის მისთვის სულ ცოცხალია, მიუხედევად იმისა, რომ ყურებში გამუდმებით ესმის სულთმობრძავი შვილის კვნესა და ჩურჩული-მიშველეთ.. ვერ უშველეს, უკურნებელ სენს ვერ მოერივნენ,.. ნოდარ ოზაშვილი, ქალაქ დედოფლისწყაროს ქართული საშუალო სკოლის ფრიადოსანი კურსდამთავრებული, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტის წითელდიპლომიანი სტუდენტყოფილი და დოცენტის ხარისხის მქონე, ერუდირებული, განსწავლული, კეთილშობილი, ჰუმანური, კაცთმოყვარე და ალალი ადამიანი, დატოვა მეუღლე და პატარა ლაშა... აი, მისი ხანმოკლე ცხოვრების მონახაზი!

ეს არის დარდი ქალისა, რომელმაც ღირსეულად გალია 86 წელი - ზინა თარაშვილს 2013 წლის თებერვალში 86 წელი შეუსრულდა. —

- მე რომ ნოდარი არ მომკვდომოდა, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდიო,- ამბობს. მართლაც ასეა. მის ბედნიერებას არაფერი აკლდა. კარგი მშობლების შვილი იყო. დასთან- რუსუდან თარაშვილთან ერთად მზრუნველობასა და ალერსში იზრდებოდა. უფალმა ნიჭიერება დაანათლა, სკოლაც წარჩინებით დაამთავრა და უმაღლესიც, ეამაყება, რომ მისი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების წითელ დიპლომს ხელს უნივერსიტეტის ისტორიაში ლეგენდად დარჩენილი რექტორი ბატონი ნიკო კეცხოველი აწერს. ზინა თარაშვილი სპეციალობით გეოგრაფი გახლავთ. 44 წელი ასწავლიდა გეოგრაფიასა და ასტრონომიას ჯერ ქალაქ დედოფლისწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში, შემდეგ №2 საშუალო სკოლაში. იყო საუკეთესო სპეციალისტი და კარგი პედაგოგი, სამართლიანი, მიუკერძოებელი, ობიექტური. მრავალ თაობას გაუვლია მის ხელში, როგორც კლასის ხელმძღვანელისა, დღესაც ახსოვთ მის მოსწავლეებს მისი ამაგი, პატივისცემით და მოწიწებით მოიკითხავენ და მოეფერებიან ხოლმე, როცა შეხვდებიან. ქალბატონ ზინასაც სწორედ ეს მიაჩნია ყველაზე დიდ ჯილდოდ პედაგოგისთვის. ამ სითბოსთვის ღირს, რომ იყო მასწავლებელიო, - იტყვის ხოლმე თავის პროფესიაზე შეყვარებული. მიუხედავად იმისა, რომ სამი შვილის დედა იყო, არასოდეს ეშლებოდა ხელი აქტიური ყოფილიყო კლასგარეშე თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

- მე ისეთი კარგი დედამთილი მყავდა, ღმერთმა სულით გაანათლოს ეთერი პოპიაშვილის სული, რომ შვილივით მივლიდა მეც და ჩემს შვილებსაც. არასოდეს იტყოდა, გაკვეთილები რომ დამთავრდა სადა, ხარ ამდენ ხანს, ოჯახს მოხედე, ბევრი საქმეაო. დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობდა. ფეხზე ტრიალით რომ დაიღლებოდა და ცოტახნით ჩაიმუხლებდა, ხელში მაშინვე საქსოვს აიღებდა. ყველაფერი ხარისხიანი იცოდა, წინდახედული, მომთმენი და ბრძენი ადამიანი იყო. ისიც დიდ ტკივილს ატარებდა გულით, მეორე მსოფლიო ომს შეეწირა მისი ვაჟი კაკო ოზაშვილი და მეუღლე. ერთი შვილის ანაბარა დარჩენილი სულ თვალებში შეჰყურებდა მასაც და მის ოჯახსაც, -იხსენებს წარსულს ქალბატონი ზინა.

ზინა თარაშვილის მეუღლე - ვალიკო ოზაშვილი, მთელი რაიონისთვის პატივსაცემი და საყვარელი კაცი იყო: ზრდილი, პატიოსანი, საქმის მცოდნე და ერთგული, კარგი შვილი, კარგი მეუღლე და კარგი მამა. აკი ვერც გაუძღო მისმა გულმა შვილის სიკვდილს და ნოდარის წლისთავის მერე მალევე გარდაიცვალა.

და როგორც სათაურში ვთქვით, „დარდს ხომ გვერდით სიხარული სდევს“. ქალბატონი ზინაც სადარდებელს დარდობს, მაგრამ სასიხარულოც ბევრია მის ცხოვრებაში: უფროსი ვაჟი აკაკი ოზაშვილი რაიონში ცნობილი პიროვნებაა თავისი გონიერებით, განსწავლულობით, მან მრავალი თანამდებობა მოიარა და თავი არსად შეურცხვენია, კარგი ოჯახი აქვს, შესანიშნავი შვილები დაზარდა მარინა ნასრაშვილთან ერთად. მისი ტყუპი ვაჟები-დათო და კახა ოზაშვილები, ერთ-ერთი საუკეთესოები არიან რაიონის ახალგაზრდებს შორის, კახა ფინანსისტია, დათო დედის კვალს გაჰყვა და მედიცინა აირჩია. ორივე წარმატებული და პერსპექტიულია, ისეთი, რომლისთვისაც ქვეყნის მომავლის გადაბარების არ შეგეშინდება.

ქალბატონი ზინას უმცროსი შვილი - ვაჟა ოზაშვილი, ბავშობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით. სკოლაც ფრიადზე დაამთავრა, 10 ქების სიგელი, 10 წარჩინების ფურცელი და ოქროს მედალი ინახება მის სასკოლო პერიოდის საოჯახო არქივში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა წითელ დიპლომზე და მის ჩათვლის წიგნაკში არცერთი ოთხიანი არ სწერია, არც საგანში და არც ჩათვლაში. მიიჩნია, რომ მეღვინე ადამიანმა, საფრანგეთის ღვინის წარმოებიდან გამომდინარე, ფრანგული უნდა იცოდეს და... ყოველგვარი რეპეტიტორის გარეშე ბრწყინვალედ დაეუფლა ფრანგულ ენას. წარმატებული მეღვინეა ვაჟა. ის დღეს კასპის რაიონში ღვინის ქარხანა „ოკამის“ დირექტორია და წარმატებით უძღვება საქმეს. ნიჭიერი შვილები ჰყავს- შვიდი წლის დემნა უკვე მეორე კლასშია და რესპუბლიკური ოლიმპიადის გამარჯვებულია, სამიოდე წლის სესილი კი პერსპექტივაში ცდილობს ტოლი არ დაუდოს მას. კიდევ ერთი წევრით გაზრდას ელოდებიან უახლოეს დროში ვაჟა ოზაშვილი და მირანდა ბაკურაძე. ეს რიგით მეექვსე შვილიშვილი იქნება ქალბატონ ზინასთვის. ღმერთმა ყველა კარგად უმყოფოს.

ერთადერთ სანთლად ანთია ნოდარ ოზაშვილის დანატოვარ ოჯახში ლაშა ოზაშვილი. ქალბატონმა ოლია გავაშელმა თავი დადო შვილზე და .. ლაშა ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. მისი ლექტორები მამამისის თანამედროვენი არიან და მუდამ იხსენებენ იმ შესანიშნავ კაცს, როგორც კარგ კოლეგას, კარგ თანამშრომელსა და ადამიანს. ლაშა ცდილობს, არ შეარცხვინოს მამის სახელი.

ქალბატონი ზინა კი ლოცულობს თავისი გარდაცვლილი ქმარ-შვილისათვის და დარჩენილი შვილებისა და შვილიშვილებისთვისაც, მისი სიცოცხლის მიზანი მხოლოდ ესაა.

- არ მცივა და არ მშია, ღმერთმა შვილები და შვილიშვილები მიცოცხლოს, ყველა ყურადღებას მაქცევს, დაილოცოს ამ მობილური ტელეფონის მომგონი, დღეში რამდენჯერმე მეხმიანებიან, ამბობს ქალბატონი ზინა.

არც დაბადების დღის მილოცვა დავიწყებიათ მისთვის პირველ თებერვალს, არც დედის დღე - 3 მარტი, 8 მარტსაც ყველა რიგრიგობით მიულოცავს. ჩვენც ვულოცავთ ყველა თარიღს ამაგდარ პედაგოგს, დედას, ბებიას. მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ მას და მის დიდ ოჯახს.

ნაირა გორაშვილი

სიმაღლეებზე ბუნებრივად ასული

„მერჩივნა, ყველა მოკვდავს დავმსგავსებოდი, მევლო მათსავით ჭრელი ნიღბით, ყალბი ღიმილით, პატარა კაცის პაწაწინა გული მეკმარა, რომ სიმაღლეებს არასოდეს მივტანებოდი!“ – ნათელა ონაშვილის ეს სიტყვები უყვარს ძალიან ჩემი სტატიის გმირს.

დიახ!... ის ერთი მეოცნებე, ქერათმიანი გოგონა ყოფილა, ფშაურ ფესვებზე აღმოცენებული, პატარაობიდანვე მასწავლებლობანას რომ თამაშობდა თურმე... ამიტომაც საბავშო ბაღში დამლაგებელსაც „მასწავლებელს“ ეძახდა...

ლექსების ტიკტიკით ამოუდგამს ენა, ყველას თავს „აბეზრებდა“ ხალხური თუ მათი დიდი წინაპრის–ვაჟას პოეზიით. ოთხი და-ძმა იზრდებოდა ერთი პატიოსანი, შრომისმოყვარე გლეხის ოჯახში. უმრწმესი იყო დედმამიშვილობაში, ამიტომ ყველა მას ასწავლიდა ჭკუას, აძლევდა შენიშვნას, თუმცა ის თვითმყოფადი ხასიათისა იყო და თავისი სამყარო ჰქონდა, სადაც ადვილად არავის უღებდა კარს..

რა თქმა უნდა, გაიზარდა.. სკოლაშიც შეიყვანეს.. აბა იქ გენახათ, როგორი რუდუნებით შესცქეროდა მასწავლებელს, ღმერთად მიაჩნდა.. სწავლობდა იმას, რაც მოსწონდა, რაც არა - „ჯერკუალი განაგდის“.

სკოლის დამთავრების შემდეგ დროის დაუკარგავად დაამთავრა პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლა და ეზიარა ბავშვებთან მუშაობის ანდამატს სხვადასხვა სკოლაში, შემდეგ კი... „მადა ჭამაში მოდისო“ და თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, რა თქმა უნდა, მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, სადაც მჩქეფარე სტუდენტური ცხოვრება განვლო და დაბრუნდა მშობლიურ რაიონში, იმუშავა სხვადასხვა სკოლაში, მაგრამ გული მშობლიური სკოლისკენ მიუწევდა.. მოასწრო ლამაზი ქართული ოჯახის შექმნა და უკვე პატარძალი, ჩვენთან მოვიდა.

ეს იყო მისთვის ერთ-ერთი ახდენილი ოცნება. თავის აღმზრდელი მასწავლებლების გვერდით მუშაობა მისთვის ათმაგად საპასუხისმგებლო იყო, ამას გრძნობდა მთელი შემართებით. (ახლაც ასეა)

მას შემდეგ 24 წელი გავიდა.. იგი ღიმილიანი შემოაღებს ხოლმე ყოველ დილით სამასწავლებლოს კარებს, ჰყოფნის სითბო და სიყვარული ყველა ბავშვისა და კოლეგის, მშობლის მიმართ.. შეუძლია მოგვისმინოს დარდისა და სიხარულის ყველა დეტალზე ბოლომდე და მოახდინოს სათანადო რეაგირება, გაიზიაროს ბოლომდე. მის ჰარმონიულ ოჯახში სამი ქალიშვილი გაიზარდა: უფროსი-გურანდა დაოჯახდა, ქალბატონი ლელა მალე ბებიაც გახდება გურანდა პარალელურად სტუდენტიცაა; ასევე სტუდენტია საშუალო ქალიშვილი-ხატია, ხოლო პატარა თამთა, მეცხრე კლასის-წარჩინებული მოსწავლეა და დედის პროფესიის შესწავლას აპირებს, თუმცა, ეს ყველაფერი არაა; მას ჰყავს მეოთხე ქალიშვილიც-პატარა ფიქრია, რომელიც ბავშვთა სახლიდან გამოიყვანა და უვლის ისე, როგორც საკუთარ პირმშოს, მასზე საკუთარ შვილებზე მეტად ზრუნავს, უამრავ ენერგიას და სითბოს აფრქვევს მას უშურველად.

ასეთი რამ, ალბათ, ყველას არ ხელეწიფება...

ეს ყველაფერი როდია?!.. იგი აქტიური პედაგოგია, სკოლის ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, დიდი წვლილი შეაქვს მის წარმატებაში. იქნება ეს სკოლაში თუ სკოლის გარეთ ცხოვრება; შიდა სასკოლო, რაიონული თუ რესპუბლიკური კონფერენციები, რაიმე მხატვრული ღონისძიება; მის ანგარიშზე პედაგოგიური წარმატებების მაჩვენებელი უამრავი დიპლომი თუ ქების ფურცელი ირიცხება, თანაც სკოლის პირველი სერთიფიცირებული მასწავლებელია.

ეს კიდევ ყველაფერი არაა: არის საუკეთესო დიასახლისი, მეუღლე უპატიოსნესი მშრომელი კაცის–შალვა გულიაშვილისა; არის კარგი მეზობელი, რძალი, სოფლის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მისთვის ადამიანურობის განსხვავებული კრიტერიუმი არსებობს: ამაღლებული და მისაბაძი. რამდენჯერ დამინახავს მის თვალებზე სიხარულისა და ტკივილის გამზიარებელი სხივი, სწორედ ასეთზე უთქვამს პოეტს:

„ვისაც შეუძლია ატირება,
მზითა და სიკეთით ძლეულიაო“..

ბარაქალა, ჩემო კოლეგავ, შენს ქალობას გაზაფხულის მშვენიერ დღესასწაულებს-დედის და ქალთა დღეებს გილოცავ, როგორც საუკეთესო დედას და ქალს!

მრავალჟამიერ!..

გულნარა ტვილდიანი,
ქვემო ქედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გაზეთ „შირაქის“ კორესპონდენტი.

პრეზენტაცია რვა წლის თავზე

2 მარტს, დაარსებიდან 8 წლის თავზე, „პრივატბანკი-საქართველოს“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრმა პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის მიზანი გახლდათ მომხმარებლისთვის ანგარიშის ჩაბარება რვა წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ და ინტერიერის განახლებასთან დაკავშირებული ცერემონია. პრეზენტაცია გახსნა და აღნიშნულ თემაზე მოწვეულ სტუმრებს ესაუბრა სერვისცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი გულიკო ზუბიაშვილი. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. მშვიდი და სასიამოვნო გარემო იყო შექმნილი ურთერთობისათვის. განახლებული და გარემონტებული ბანკი თანამშრომლებთან ერთად აკურთხა დეკანოზმა ნიკოლოზმა. მან დალოცა, წარმატებები და პირადი ბედნიერება უსურვა სტუმრებსაც და მასპინძლებსაც.

ვესაუბრებით პრივატბანკის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ხელმძღვანელს გულიკო ზუბიაშვილს.

მინი დოსიე: გულიკო ზუბიაშვილი დაიბადა სოფელ არბოშიკში. დაამთავრა ჯერ საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი, შემდეგ თბილისის ბიზნეს-ეკონომიკის უმაღლესი სკოლა. აქვს საბანკო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება: 1988 წლიდან ქ.წითელწყაროს შემნახველი სალაროს რევიზორ-ბუღალტერია, მერე-მთავარი ბუღალტერი. 1999 წელს შეიქმნა საფოსტო ბანკი, სადაც ქალბატონმა გულიკომ კვლავ საბუღალტრო საქმიანობა გააგრძელა. 2005 წლის 1 მარტს დედოფლისწყაროში გაიხსნა პირველი კომერციული ბანკი, რომელმაც შემდგომში განიცადა სახეცვლილებები: იწოდებოდა ტაობანკად, შემდეგ, როცა უკრაინელებმა სრულად შეისყიდეს იგი - პრივატბანკი. ბანკის დაარსებიდან 2012 წლის მაისამდე გულიკო ზუბიაშვილი მთავარი ბუღალტერი გახლდათ. მაისიდან კი ამ ფილიალის ხელმძღვანელია.

- ქალბატონო გულიკო, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეთ რემონტი არცთუ მთლად სარემონტო ამინდურ პირობებში-ზამთრის დასასრულს. ვისი ძალისხმევით მოხდა ეს?

- რემონტი სათაო ოფისმა ჩაატარა როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე მან გამოყო სარემონტო ბრიგადაც და სულ რაღაც თხუთმეტიოდე დღეში, ძალიან ოპერატიულად ჩატარდა ეს სამუშაოები. შენობის ფართო ფანჯრები ძველი იყო, სიცივეს ვერ იჭერდა, შემოსასვლელიც ღია გვქონდა, თავს არაკომფორტულად ვგრძნობდით ჩვენც და მომხმარებლებიც. ამიტომ დავაყენე საკითხი ხელმძღვანელობასთან ამ პრობლემების მოგვარებაზე. პირველ ხანებში უკრაინელებს ამ კუთხით მუშაობა ნაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. მათ სერვისის გაფართოებასა და გამრავალფეროვნებაზე უფრო ჰქონდათ აქცენტი, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ქართულ კლიენტურას აქვს კომფორტის მოთხოვნილება და დაგვთანხმდნენ.

- კომფორტი ნამდვილად კარგი გაქვთ, ხელფასითაც თუ ხართ ასეთი კმაყოფილები?

- რა თქმა უნდა. ჩვენ საგანაკვეთო ანაზღაურებასთან ერთად გვაქვს ბონუსებიც. ბონუსების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის პროდუქციას გავყიდით, როგორია ჩვენი შემოსავლები. აქედან გამომდინარე, უკმაყოფილო არ ვართ, რადგან არის მომენტები, როცა ბონუსით მიღებული თანხა საგანაკვეთოს უტოლდება ან აღემატება კიდეც.

- კერძოდ. რა პროდუქციას სთავაზობთ მომხმარებელს?

- მრავალნაირს. გვაქვს დეპოზიტები, საკმაოდ კარგი პროცენტით, მაგალითად შეგროვებადი, სადაც შედის ყულაბები ბავშვებისათვის, პენსიონერებისათვის, მოქალქეებისათვის, გვაქვს საკრედიტო ბარათები 18-დან 65 წლამდე მოქალაქეებისათვის. ბარათი გამოიყენება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებისათვის. დედოფლისწყაროს ბევრ სამომხმარებლო ობიექტში დგას ტერმინალები, სადაც მოქალაქეს შეუძლია ივაჭროს ბარათით, რაც ფიზიკურადაც მოსახერხებელია და ამასთან ერიცხება ბონუსიც პროცენტულად ნავაჭრის მიხედვით. ამ საბონუსე თანხითაც მას იმავე ობიექტში შეუძლია ივაჭროს. ასე რომ, ეს ძალიან მოსახერხებელი სერვისია.

გავაფართოვეთ ინფრასტრუქტურა: დგას სამი ბანკომატი, სადაც ჩვენს კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია თანხის განაღდება.

უახლოეს მომავალში ექსპლოატაციაში შევა რუსთაველის ქუჩაზე თვითმომსახურების ტერმინალი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გადაიხადოს ყველა სახის კომუნალური გადასახადი, ხოლო ჩვენი ბანკის მომხამრებელს შეუძლია ოფისში მოუსვლელად იქვე გადაიხადოს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.

ამჟამად გვაქვს ძალიან კარგი აქცია. ხდება სესხების რესტრუქტურიზაცია. კლიენტს, რომელსაც აქვს დიდი ხნის ვადაგადაცილებული სესხი თავისი ჯარიმებით და საურავებით, ხდება მათი ჩამოჭრა და ძირი თანხის გადანაწილება კლიენტისთვის მისაღები ვადით.

პროდუქტებში გვაქვს განვადებაც, მაგალითად გსურთ შეიძინოთ რაიმე ნივთი, ავეჯი ან ელექტროსაქონელი და არ გაქვთ ფული. გააკეთებთ განვადებას, ბანკი გადაგირიცხავთ ფულს და თქვენ, შედგენილი გრაფიკის მიხედვით, გარკვეულ ვადაში, ნაწილ-ნაწილ დაფარავთ. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი გადასახდელი პროცენტი, მაგრამ ის ხელმისაწვდომია, არ არის კაბალური. დღეს ისეთი სიტაუციაა ჩვენს ქვეყანაში, რომ ვერც სანათესაოში და ვერც სამეზობლოში ას ლარს ვერ ისესხებს ადამიანი. ჯერ ერთი, დიდ ნაწილს თავადაც უჭირს და არა აქვს გასასხებელი ფული, ვისაც აქვს, ის, ძირითადად, თავს არიდებს ასეთ „ქველმოქმედებას“. ამდენად, ჩვენი შეთავაზება მოქალაქეებისათვის მოხერხებულია. ამ განვადების გაფორმება შესაძლებელია როგორც ბანკში, ასევე ჩვენი განვადების მენეჯერებთან, რომლებიც გვყაცს მაღაზიებში „ვესტელი“. „ბეკო“ და „ელიტელექტრონიქსი“. ჩვენ ვემსახურებით როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს. იურიდიული პირებისთვის გვაქვს კიდევ ერთი ძალიან კარგი პროდუქტი: ინტერნეტ-ბანკინგი. ამ სერვისში ჩართული ორგანიზაციის ბუღალტრებს აღარ უხდებათ საბანკო ოპერაციების შესასრულებლად ბანკში მოსვლა. ეს მას სამსახურიდან გაუსვლელად შეუძლია გააკეთოს შესაბამისი პროგრამით, რაც მას დაუზოგავს დროს და ენერგიას.

- რვა წლის წინ კომერციული ბანკის გახსნა სენსაცია იყო და მარტო თქვენი ფილიალი ფუნქციონირებდა. დღეს რამდენიმე ძლიერი ბანკის ფილიალი ჩაგიდგათ, ასე ვთქვათ, „ჯიბრში“. როგორ გესახებათ, რით გაუძლებთ ამ შემოტევებს?

- ჯანსაღი კონკურენციის პირობებში უნდა ეცადო, მრავალფეროვანი და მოხერხებული პროდუქცია შესთავაზო მომხმარებელს. სწორედ კონკურენციას მოაქვს ახალ-ახალი იდეები, ნოვაცია და საერთო კეთილდღეობა. ჩვენ ინფრასტრუქტურას ვთავაზობთ მომხმარებელს იმ ბანკომატების, გადასახდელი აპარატების, ტერმინალების და პროდუქციის მრავალსახეობის სახით იმიტომ, რომ ისარგებლონ ამ კომფორტით, თავი მოხერხებულად იგრძნონ და ჩვენი ბანკის მომსახურებით ისარგებლონ. ზოგადად კი, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ ძველებურად სალაროსთან რიგში დგომას ამჯობინებს და ნაკლებად ცდილობს, დაეუფლოს ახალ საბანკო ტექნოლოგიებს, რომელიც გაცილებით უფრო კომფორტული და მოხერხებულია. დროა, მიეჩვიოს ამას საზოგადოება.

პრეზენტაციაზე მოსულმა მომხმარებლებმა: მარლენ კვაჭანტირაძემ, გოგი კიკილაშვილმა. ბიძინა პოპიაშვილმა, ზურა თეთვაძემ, სოლომონ მენთეშაშვილმა, ნინო ფიროსმანაშვილმა, ეკა აფციაურმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი დიდი ხანია პრივატბანკის მომხმარებლები არიან და კმაყოფილნი არიან მომსახურე პერსონალით, სერვისით, შეთავაზებული პროდუქციით. მათ ბანკის თანამშრომლებს უსურვეს შემდგომი წარმატებები და როგორც ქალთა კოლექტივს, მიულოცეს დედის და ქალთა დღესასწაულები.

პრეზენტაცია ალა-ფურშეტით და შამპანურით დასრულდა. 2 მარტი იყო და გაზაფხულის ალერსიანი მზე ბანკის ახალ ფანჯრებში იმედისმომცემად ჩახჩახებდა.

ნაირა გორაშვილი

თანამედროვე ქართველი მამლუქები

საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათია თათარაიძეს ბრალად ედება იმ ქალის მკვლელობა, რომელსაც ის უვლიდა. იქაური პრესა აღნიშნავს, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქართველი გოგონა, რომელიც ახლა 24 წლისაა, 15 წლის ასაკიდან უცხოეთში ცხოვრობს და მოხუცი ქალების მომვლელად მუშაობს. ამ ამბავმა ძალიან ამაფორიაქა. ცხადია, გარდატეხის ასაკიდან სხვა ქვეყანაში გადახვეწილ გოგონას, რომელსაც სამშობლოში უდარდელი ბავშვობის გატარების მაგიერ, უცხოეთში მძიმე შრომა ერგო წილად, დალხენილი ცხოვრება არ ექნებოდა, მაგრამ როგორ მივიდა ის მკვლელობამდე? სამწუხაროა, მაგრამ როგორც ჩანს 14 -15 წლის ასაკის ქართველი ბავშვების საზღვარგარეთ ფინანსური ანაზღაურების გამო გაგზავნის შემხვევები გვაქვს. აი, რა მომიყვა ამას წინათ ერთი ნოტარიუსი, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ ორი არასრულწლოვანის-14 წლის გოგონას და 15 წლის ბიჭის მშობლებს, მათივე მოთხოვნით და თანხმობით საზღვარგარეთ გამგზავრება ნოტარიულად დაუმოწმა. - „კარი გაიღო და საკმაოდ გაჭირვებული ადამიანები შემოვიდნენ, თან 14, 15 წლის ბავშვები, გოგო და ბიჭი ახლდათ, როცა ნოტარიულად მშობლებისგან მათი შვილების საზღვარგარეთ წასვლის ნებას ვადასტურებდი, თან შეპარვით ბავშვებს ვუყურებდი, ბავშვებს თავი იატაკში ჰქონდათ ჩარგული და მაღლა ამოხედვის სურვილი დაჰკარგვოდათ, ეს ამბავი არ მომეწონა და მშობლებს დავეკითხე, რატომ აგზავნით - მეთქი. (საერთოდ ხშირად ბავშვებს ან დასასვენებლად აგზავნიან მშობლები, ან კიდევ სასწავლებლად, მაგრამ ეს შემთხვევა არცერთს არ გავდა და ეჭვი შემეპარა.) მშობლებმა დარცხვენით მითხრეს - სამუშაოდ ვაგზავნით, ძალიან გვიჭირს და მაგიტომო. - კიდევ კარგი, ვიჯექი, რომ არ ჩავკეცილიყავი. ასეთია დღევანდელი ჩვენი რეალობა-ქართველი მამლუქები მხოლოდ წარსულ დროში კი არ იყვნენ, დღესაც არსებობენ საზღვარგარეთ. ამ ბავშვებს ქართველი მამლუქები ჰქვიათ, რომლებიც არა ძალით და მოტაცებით მიჰყავთ სხვა ქვეყნის ხალხის შინამოსამსახურეებად, არამედ, ამჯერად, უკვე მშობლების ნებით ტოვებენ მშობლიურ მიწა-წყალს და სადღაც, შორს, ვინ იცის რა ბოღმაში და ვაებაში უთენდებათ და უღამდებათ. ვინ იცის, რა დარდს დაატარებდა ამ შემთხვევაშიც მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქართველი გოგონა სხვა ქვეყანაში,იქნებ სამშობლოდან იძულებით მოწყვეტის ბოღმამ ჩამოუყალიბა მას ასეთი ფსიქიკა?! იქნებ ქართული მიწის მონატრებამ, ან დედის სითბოს ნოსტალგიამ?! ვაი, რომ ქართველი ქალი აქამდე დაეცა. ეს ყველას ტრაგედია და ტკივილია!

ლალი მეხრიშვილი

ნარკომომხმარებელთა სტატისტიკა კახეთში

საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა კვლევა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ახლახანს დასრულდა. თელავი პირველი ქალაქია, სადაც კვლევის ორგანიზატორებმა მიღებული შედეგები და გამოვლენილი ტენდენციები კახეთის რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს გააცნეს. გაზეთი „შირაქი“ საინტერესო დეტალებს და მონაცემებს ექსკლუზიურად გთავაზობთ. საგანგაშო ვითარება გამოიკვეთა ზუგდიდსა და ბათუმში.

როგორც საქართველოს ანტინარკოტიკული მედიაკლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ითქვა, კვლევა გასული წლის თებევრლიდან სექტემბრამდე მიმდინარეობდა და საქართველოს ექვს ქალაქს მოიცავდა. ნარკოტიკების მომხმარებლებს ანონიმურობის სრული დაცვით, რამდენიმე საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა ევალებოდათ. იმ ადამიანებს, ვისაც ნარკოტიკების მოხმარების კვალი არ დაუდგინდა, კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე უარი ეთქვა. როგორც კვლევის განმახორციელებელი საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელმა დავით ღონღაძემ „შირაქს“ განუცხადა, ამ საკითხზე უკანასკნელი კვლევა საქართველოში 2008-09 წლებში ჩატარდა. ახალი მონაცემები წინა კვლევის შედეგებს შეადარეს და ახალ ტენდენციებზეც საუბრობენ.

კვლევის ავტორები ირწმუნებიან, რომ თელავში ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკი გაახალგაზრდავდა, რაც წინა წლებში არ შეინიშნებოდა. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტში იმატა სუბოტექსის მოხმარების მაჩვენებელმა. ეს კი იმ ფონზე, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით სუბოტექსის მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს.

ქალაქ თელავში და მის სოფლებში გამოკითხული 280 ნარკომომხმარებლიდან აივ-შიდსი მხოლოდ სამ მათგანს დაუდგინდა. არცერთი მათგანი 25 წელზე ნაკლები ასაკის არ იყო.

კიდევ ერთი ახალი ტენდენცია, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა იყო ის, რომ აქამდე ნარკომომხმარებლები ალკოჰოლს არ ეტანებოდნენ, ახლა კი ირკვევა, რომ საქართველოში ნარკომომხმარებლები ბოლო დროს ალკოჰოლურ სასმელებს განსაკუთრებით მიეძალნენ. ამ გარემოების ახსნა სპეციალისტებს ამ ეტაპზე არ აქვთ.

საქართველოში გართულებული და გაძვირებულია ნარკოტიკული საშუალებების შოვნა, თუმცა კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ის შედარებით ახალი საშუალებით ე.წ. „კრაკადილით“ ჩაანაცვლეს და მისი მომხმარებელთა რიცხვი საოცარი სისწრაფით მატულობს. სპეციალისტები ამ მხრივ არსებულ ვითარებას საგანგაშოს უწოდებენ.

კვლევა ცხადყოფს, რომ ნარკომომხმარებელთა რიცხვის ზრდა ყველაზე მეტად სამეგრელოში შეინიშნება. აქვე გამახვილდა ყურადღება იმაზეც, რომ კონტროლის გამკაცრების ფონზე ნარკომომხმარებლები ზუგდიდსა და ლაგოდეხიდან საზღვრის გადაკვეთას ახდენენ, ნარკოტიკულ საშუალებებს იქ იძენენ, იქვე მოიხმარენ და მას შემდეგ უკან ბრუნდებიან. ვითარების სირთულეს მიღებული ციფრებიც ცხადყოფს. 2008 წელთან შედარებით ამჯერად ნარკოტიკის საზღვარგარეთ მოხმარების მაჩვენებელი 11-ჯერ გაზრდილია. სურათი საქართველოს საზღვრისპირა ქალაქებზე ადექვატურად აისახა. დადგინდა საზღვარგარეთ ყველაზე მოთხოვნადი ნარკოტიკული ნივთიერებაც. ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ძირითადად ჰეროინს მოიხმარენ და ამან გამოკითხულთა 43% შეადგინა. გორში 2008 წელს მორფინის მოხმარების მაჩვენებელი საგანგაშოდ გაზრდილი იყო. კვლევის ავტორები ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი ვერსიით, ამგვარი ვითარება აგვისტოს ომს უკავშირდებოდა.

ასევე, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილია ინექციის სიხშირე. კვირაში რამდენჯერმე ნარკოტიკს მომხმარებელთა 48% მოიხმარს. ამასთან, გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები ქუჩაში. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ნარკომომხმარებელთა მხოლოდ 2,2% ამბობს, რომ ინექცია ქუჩაში გაიკეთა. კვლევის ავტორები ამ კუთხით მაჩვენებლების გაუმჯობესებას საქართველოში კანონის გამკაცრებას და ძალოვანი უწყებების მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს უკავშირებენ.

საქართველოს ანტინარკოტიკული მედიაკლუბის შეხვედრაზე სერიოზულ პრობლემად დაისვა B და C ჰეპატიტის პრობლემა ნარკომომხმარებლებში. ირკვევა, რომ გამოკითხულ ნარკომომხმარებელთა 60-70% C ჰეპატიტითაა ავად. კვლევის ავტორები ჰეპატიტს დიდ პრობლემად მოიხსენიებენ.

ნარკოტიკების მომხმარებელთა მხრივ გართულებულია ვითარება აფხაზეთშიც. გაეროს ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით, აფხაზეთში აივ-შიდსის მაჩვენებელიც მაღალია. საქართველოს მოქალაქეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხვედრა კი, სპეციალისტების მტკიცებით, ჩვენს ქვეყანაში შიდსის გავრცელების კუთხით სარისკოა. ის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ნარკომომხმარებლების გადინების მაჩვენებელი მაღალია, ამას ახლადდასრულებული კვლევებიც ადასტურებს. აფხაზეთში, განსაკუთრებით გალის რაიონში, მაღალია ზუგდიდიდან გადასულ მოქალაქეთა რიცხვი. ამიტომაც, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით სამეგრელოში აივ-შიდსის მაჩვენებელიც საგანგაშოდ არის გაზრდილი. ამ მხრივ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვერ ხერხდება სხვადასხვა სახის პრევენციული ზომების გატარება. თუმცა, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ახერხებს, ცალკეული მიმართულებებით კონკრეტული მონაცემები დადოს და იქ არსებულ ტენდენციებზე ისაუბროს.

საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2012 წელს გაუმჯობესდა წამალდამოკიდებულთა უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაჩვენებელიც. გამოკითხვის თანახმად, სხვისი შპრიცის გამოყენების ფაქტები შემცირდა.

„კვლევის მიმდინარეობის დროს ბევრი ინტერვიუერი გვეკამათებოდა და ამბობდა, რომ სხვის ნახმარ შპრიცს რეცხავენ და ისე იყენებენ. თუმცა, რა თქმა უნდა, წყლის ჭავლით გარეცხილი ერთჯერადი შპრიცი ვერ ჩაითვლება უსაფრთხოდ. ერთჯერადი შპრიცის გამოხარშვა-სტერილიზაციაც შეუძლებელია. ნარკომომხმარებელთა ნაწილი ჯერ კიდევ თვლის, რომ წყლის ჭავლით გარეცხვა საკმარისია, თუმცა აშკარაა, რომ უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაჩვენებელი ნამდვილად გაუმჯობესდა. ამასთან, საქართველოში აფთიაქები ნებისმიერ დასახლებაში მრავლადაა და ერთჯერადი შპრიცის შეძენაც პრობლემას არ წარმოადგენს, მისი ფასიც ხელმისაწვდომია. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნებში ვითარება განსხვავებულია. როდესაც წამალდამოკიდებულ მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთა და წამლის იქ მოხმარება უწევს, ბუნებრივია, ის ერთჯერადი შპრიცების მომარაგებას არ დაიწყებს და საზღვარს ჯიბეში შპრიცით არ გადაკვეთს. ხშირია შემთხვევა, როცა საზღვრებს გარეთ ერთ შპრიცს რამდენიმე მომხმარებელი იყენებს, ეს კი დაინფიცირების რისკს ზრდის. გამოუვალ სიტუაციებში ასეთ ადამიანებს აქვთ ერთი შპრიცი და იძულებულნი არიან, მხოლოდ ის გამოიყენონ. დამერწმუნეთ, როდესაც ადამიანს ე.წ. „ლომკა“ აქვს, მისთვის მთავარია წამალი დროულად გაიკეთოს და ასეთ დროს იშვიათად ფიქრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე, თუ უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე,“ – განუცხადა „შირაქს“ საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენელმა თამარ სირბილაძემ.

გამოკითხვის თანახმად ირკვევა ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა იმ ნარკომომხმარებელთა რიცხვი, რომელთაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში აივ-ტესტირება ჩაიტარეს. ამასთან, 2009 წელს შიდსის გადაცემის გზების თაობაზე ინფორმაციას დეტალურად ფლობდა ნარკომომხმარებელთა 37,5%, ამჯერად კი საქართველოს მასშტაბით ეს მაჩვენებელი 42% შეადგენს. რაც შეეხება თელავს, აქ ნარკომომხმარებელთა ინფორმირების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შიდსით დაინფიცირების გზების თაობაზე ინფორმაციას თელავში გამოკითხულთა 86% ფლობს.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ იმ ქალაქში, სადაც შიდსით ინფიცირებულთა მაჩვენებელი მოსახლეობის 5% აღემატება, ვითარება საგანგაშოდ შეიძლება შეფასდეს. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად სამეგრელოში აივ დადებითი ადამიანების რიცხვმა 5% უკვე გადააჭარბა. მეორე ადგილს ქალაქი ბათუმი იკავებს, სადაც მონაცემები ასევე სავალალოა. მომხმარებელთა აქტივობას მათი ადგილმდებარეობაც ხელს უწყობს

„მოგეხსენებათ, აივ-პოზიტიური ადამიანების მკურნალობა სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება. რამდენიმე წლის წინ პრემიერმინისტრ ნიკა გილაურის გადაწყვეტილებით აუცილებელი გახდა მკურნალობის დროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, რადგან სახელმწიფომ აკონტროლოს რამდენად სწორად იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითად იმოქმედა ნარკომომხმარებელთა მომართვიანობაზე. ერთის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა გვჭირდებათ იმაზე, რომ წამალდამოკიდებული ადამიანები კვლევაზე დავითანხმოთ და ჩვენთან ითანამშრომლონ. პირველადი აივ-ტესტირება ანონიმურია, თუმცა საოცარი ის გახლავთ, რომ სწორედ იმ პაციენტებს ვაფრთხობთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ვისაც საეჭვო მონაცემები უფიქსირდება. მაშინ, როცა აივ-ტესტირება საეჭვო გარემოებებს დაადგენს, აუცილებელი ხდება გამოსაკვლევად შიდსის ცენტრს გადავცეთ, სადაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ძირეული კვლევა ჩაუტარდება. თუმცა, იმის შიშით, რომ იქ უკვე მათი იდენტიფიცირება ხდება და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სთხოვენ, ბევრი კვლევის გაგრძელებას თავს არიდებს. ეს კი მოსალოდნელ რისკებს ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება წინა ხელისუფლების მიღებულია, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ბევრს ვიბრძვით, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს მიდგომა გააუქმოს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. მათი არგუმენტია, რომ თანხების ხარჯვის კონტროლი მოხდეს, თუმცა, ალბათ, აუცილებელია რაიმე სახის გამონაკლისი. გვინდა, რომ ხელისუფლებამ ნარკომომხმარებლებისთვის მცირე გამონაკლისი დაუშვას, რომ მათ ნდობა ჰქონდეთ და თავი არ აარიდონ კვლევას. თანხების ხარჯვის კონტროლი თავის მხრივ უკუ ეფექტს იძლევა და უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში ეს მიდგომა შეიცვლება,“ – აღნიშნეს საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენლებმა.

საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენლებმა ეს კვლევა საერთაშორისო ორგანიზაცია „კურაციოსთან“ ერთად, გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში ჩაატარა. გამოიკვეთა ისიც, რომ კახეთის რეგიონში სხვა ქალაქებთან შედარებით ნაკლებად ხორციელდება ნარკოტიკების მომხმარებელთა უზრუნველყოფა პრევენციული პროგრამებით.

რატომ გაახალგაზრდავდა კახეთში ნარკომომხმარებელთა ასაკი და კვლევის შედეგების თანახმად რა საშიში ტენდენციები გამოიკვეთა რეგიონში

„ერთი შეხედვით, კვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების სახეობა შეიცვალა. თუ აქამდე მთელს ქვეყანაში უფრო გავრცელებული იყო ტრადიციული ნარკოტიკული საშუალებები ჰეროინი და სუბოტექსი, ახლა ირკვევა, რომ მოხდა ამ საშუალებების ჩანაცვლება ძირითადად კუსტარულად დამზადებული საშუალებებით, რომელიც „ნიანგის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ასევე, ნარკომომხმარებლებში ძალიან გაიზარდა ე.წ. ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება, რომელსაც თავისუფლად და რეცეპტის გარეშე ყიდულობენ აფთიაქებში. ანუ, არალეგალურ ბაზარზე ნაყიდი ნარკოტიკების ნაცვლად უფრო მეტად ხდება იმ საშუალებების გამოყენება, რომელიც აფთიაქში თავისუფლად იყიდება და მისი მომზადება კუსტარულად არის შესაძლებელი,“ – განაცხადა თამარ სირბილაძემ.

როგორც „ბემონის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელმა დავით ღონღაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათი ორგანიზაცია გეგმავს, მომავალში ცალკეული მიმართულებებით თელავის გარდა კახეთის სხვა რაიონებშიც იმუშაოს.

„თუნდაც დღევანდელი მედიაკლუბის შეხვედრა იმის ნიშანია, რომ ვცდილობთ, მთელი კახეთი მოვიცვათ და სხვა რაიონებთანაც გვქონდეს აქტიური კონტაქტი. გვინდა კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ეს ცალკეულ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული და როგორც კი შესაბამის სახსრებს გამოვნახავთ, აუცილებლად ვიმოქმედებთ ამ კუთხითაც. მიგვაჩნია, რომ რაიონებში მომუშავე ჟურნალისტებთან აქტიური თანამშრომლობა პოზიტიური ნაბიჯი იქნება, ამიტომაც ჩავთვალეთ, მედიასაშუალებების წარმომადგენლები კახეთის ყველა რაიონიდან მოგვეწვია,“ – თქვა ღონღაძემ.

ილია მარტყოფლიშვილი

„ბარის ფშაველების“ ბედი გაურკვეველია

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში მოქმედმა ანსამბლმა „ბარის ფშაველები“ რამდენიმე თვეა მუშაობა შეწყვიტა. ანსამბლის წევრები მიზეზად შესაბამისი სამუშაო პირობების არარსებობას და აუტანელ პირობებს ასახელებენ. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სოფლის კულტურის სახლის დირექტორი თამარ მგელიაშვილი რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა, რამაც ანსამბლის შეჩერების პროცესი შედარებით დააჩქარა.

სოფელ ქვემო ქედში მცხოვრები ანსამბლის ახალგაზრდა წევრი, სალომე ბარამაშვილი „ბარის ფშაველების“ ასაკოვანი წევრების შთამომავალია. ის გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას იხსენებს, რომ სოფელ ქვემო ქედის კულტურის სახლის ძალზე ავარიულ შენობაში, სადაც ისინი იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საკონცერტო ნომრებს ამზადებდნენ, რეპეტიციის მსვლელობისას ჩანგრეული იატაკიდან ხშირად გველებიც ამოსულან, შეშინებულ წევრებს კი რეპეტიცია შეუწყვეტიათ.

არადა, სოფელ ქვემო ქედის ანსამბლი „ბარის ფშაველები“ არსებობის 10 წელს ითვლის და მათთვის დამახასიათებელი სტილითა და ინდივიდუალურობით გამოირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი რაიონული ცენტრისგან ძალზე მოწყვეტილნი არიან, აქტიურად ახერხებდნენ სხვადასხვა კონცერტებში მონაწილეობას და საკუთარი შემოქმედების ფართო მასებისთვის გაცნობას.

ორიგინალურ ჩაცმულობაზეც თავად ზრუნავდნენ, ფორმებს საკუთარი ხელით იკერავდნენ და მძივებით ალამაზებდნენ. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ფშავური ფორმების ნაწილი 3-4 თაობის გამონაცვალია, თუმცა, ანსამბლის წევრები როგორც საპატიო რელიკვიებს, ისე ინახავენ და უფრთხილდებიან. ეს მათი ისტორიაა, საამაყო წარსულია, ტკბილი მოგონებებია.

რეპეტიციების შეწყვეტის შემდეგ მათი ყოველდღიურობა შეცვლილია, თითქოს მათი ყოფა რუტინული გახდა.

ქედების ზონაში კულტურის სახლის შენობების მდგომარეობას და საზღვრისპირა სოფლებში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების საკითხს გასულ კვირას დედოფლისწყაროს გამგეობის თათბირზეც შეეხნენ. კულტურისა და სპორტის ცენტრის ახლადდანიშნული ხელმძღვანელი ნინო ბახუტაშვილი ფიქრობს, რომ სოფელ ქვემო ქედის კულტურის სახლის აღდგენა არ ღირს, რადგან ის საკმაოდ დიდი მოცულობისაა და დღევანდელ პირობებში შესაბამისი დატვირთვა აღარ ექნება. ამდენად, ბახუტაშვილი მიიჩნევს, რომ უპრიანია შეკეთდეს არა ქვემო ქედის, არამედ სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლი, რომელიც ამ სოფლებში კულტურული ცენტრის სტატუსს შეიძენს.

„სოფელ ქვემო ქედში, სამწუხაროდ, აღარ ცხოვრობს მოსახლეობის ის ოდენობა, რომ კულტურის სახლის აღდგენის შემთხვევაშიც კი მას მოცულობის შესაბამისი დატვირთვა ჰქონდეს. ამიტომ, სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ,“ - აღნიშნა ნინო ბახუტაშვილმა.

რამდენიმე ათეული წლის წინ, ზემო ქედის კულტურის სახლის მშენებლობისა და მისი მასშტაბების შესახებ კარგად არის ცნობილი. არსენ კობაიძის ძალისხმევით, ქედების ზონას ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი გამორჩეული კულტურის სახლი ჰქონდა. დღევანდელ რეალობაში, ალბათ, დიდხანს მოგვიწევს მოთმენა, რომ საქართველოს ყველა სოფელში კულტურის სახლის აღდგენა მოხერხდეს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არც ასე გაგრძელება და სოფლების კულტურული ცხოვრების გარეშე დატოვება იქნება მართებული.

ანსამბლის წევრები ამბობენ, რომ საკუთარი შემოქმედების გაცილებით ფართო მასებისთვის გაცნობის საშუალება მას შემდეგ მიეცათ, რაც საქართველოში სახალხო ფესტივალი ''არტგენი'' ჩატარდა. მას შემდეგ ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა ქალაქის სცენაზე ხშირად უწევდათ გასვლა. ნანგრევებადქცეულ ქვემო ქედის კულტურის სახლის შენობაში მომზადებული სხვადასხვა საკონცერტო ნომრები კი მაყურებლის მოწონებას მუდმივად იმსახურებდა. ფესტივალი „არტგენი“ საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაციას, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიებასა და საზოგადოებისათვის მოწოდებას ემსახურება. დედოფლისწყაროელი „ბარის ფშაველები“ ამაყობენ, რომ ერთ-ერთ წელს ფესტივალ „არტგენის“ გახსნის პატივი სწორედ მათ ხვდათ წილად.

სხვა კონცერტების მსგავსად, ასევე წარმატებული იყო 2011 წლის ზაფხულში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმის ეზოში გამართულ „არტგენის“ გახსნაზე მათი გამოსვლა.

ვნახოთ, როდემდე იქნება „ბარის ფშაველების“ ბედი გაურკვეველი?

ილია მარტყოფლიშვილი

კვლავაც სიამოვნებით ვეწვევით

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მოზარდების უმრავლესობას არ აქვს სამყაროსადმი სწორად ჩამოყალიბებული ხედვა. უმრავლესობას გვიჭირს დავამყაროთ გარე სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობა, რაც, ჩვენ ვფიქრობთ, აისახება ჩვენს ქცევაზე და მეტყველებაზეც. რა როლი უნდა ჰქონდეს სკოლას, რომ სწორად ჩამოყალიბდეს მოზარდის შინაგანი დისციპლინა, რომელიც არ არის დაკავშირებული გარე იძულებასთან და ძალადობასთან. სკოლის თითოეულმა წევრმა უნდა იზრუნოს ძალიან ფაქიზად შეიტანოს თინეიჯერების დისჰარმონიულ სულში ჰარმონია. მეტად უნდა დაგვაახლოვონ ბუნებასთან და მეტად გაგვიფაქიზონ სული, რომელიც სრულყოფილებისაკენ სწრაფვაშია მუდმივად. ამ ყველაფერში კი დიდი როლი უჭირავს ხელოვნებას – მხატვრობას, მუსიკას, კინოს, თეატრს. ასე მოიტანა ცხოვრებამ, რომ ჩვენ არა გვაქვს ხელმისაწვდომობა (არც ეკონომიკური და არც ფიზიკური) ხშირად ვეზიაროთ ჭეშმარიტ შემოქმედებას. ბევრ ჩვენგანს დიდ ეკრანზე ფილმიც კი არ გვინახავს, არ დავსწრებივართ თეატრს, ოპერას, ბალეტს, არ გვინახავს ქართული საგანძური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, არ გვინახავს რომელიმე საგამოფენო დარბაზი. დავრჩით მხოლოდ ტელევიზიის, სადაც მარტო საინფორმაციო გადაცემები და დაბალი დონის სერიალები ჭარბობს და კომპიუტერის ანაბარა, რომელიც ბევრ საინტერესო ინფორმაციას კი იძლევა, მაგრამ მშრალად და ემოციის გარეშე. ამიტომ ჩვენს სულში დიდი გამონათება იყო, როცა კოლექტიურად ვეწვიეთ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჯანიძის ნახატების გამოფენა დავათვალიერეთ.

ნახატი ხომ ტილოზე გაცოცხლებული ბუნებრივი სილამაზეა. სწორედ ამ სილამაზის ჭვრეტით შეიძლება მიხვიდე დასკვნამდე, რომ შენს გარშემო ყველაფერი უსაზღვროდ ლამაზია. უბრალოდ, ჩვენ დახმარება გვჭირდება, რომ ეს აღვიქვათ.

მადლობა ბელა ლობჯანიძეს და მადლობა მუზეუმის თანამშრომლებს, რადგან ეს ერთი დღე ჩვენს ცხოვრებაში შემოქმედებითად დაიტვირთა და მოგვეცა საშუალება, სამყაროსთვის ცოტა მაინც განსხვავებული თვალით შეგვეხედა. ვისურვებდით, მომავალშიც მოგვეცეს მსგავსი საშუალება და ჩვენც მზად ვართ ვიხილოთ შემოქმედის სიყვარულით შექმნილი საოცრებები.

ქ.დედოფლისწყაროს №2
საჯარო სკოლის
VIII, IX, X, XI კლასის
მოსწავლეები.

ღია გაკვეთილი ხელოვნების სკოლაში

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეხუთეკლასელებს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში ღია გაკვეთილი ჩაუტარდათ. ხელოვნების პედაგოგის რუსუდან კიკილაშვილის განმარტებით, შემეცნებითი ხასიათის ღია გაკვეთილები ამ სკოლაში უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა, რაც მომავალ თაობას სამყაროს უკეთ გაცნობაში ეხმარება და იქ გატარებული თითოეული წუთი არასდროს ავიწყდებათ.

„ჩემი მოსწავლეების რეაქციით აღფრთოვანებული ვარ. მათ ეგონათ, რომ ტრადიციულად მერხებთან უნდა დამსხდარიყვნენ და ისე დაეხატათ, მაგრამ როცა მოლბერტთან აღმოჩნდნენ, მათ გაოცებასა და სიხაარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი მსგავს სიტუაციაში პირველად იყვნენ და ისე მოეწონათ, რომ სამხატვრო სკოლაში სიარულის სურვილიც გამოთქვეს. კარგი იქნება, თუ სხვა სკოლებიც მოგვბაძავენ, რადგან პროფესიულ გარემოსთან შეხება და მძაფრი ემოციები მოზარდების ტალანტის გამოვლენაში დიდ როლს ასრულებს“ - განაცხადა რუსუდან კიკილაშვილმა.

მშვენიერებისთან ზიარების ერთი დღე



გაზეთ „შირაქიდან“ შევიტყეთ, რომ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ახალგაზრდა, თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჯანიძის გამოფენა მოეწყო. წერილში ისე საინტერესოდ იყო მოთხრობილი ბელას და მისი ნახატების შესახებ, რომ გაგვიჩნდა სურვილი, ჩვენი თვალით გვენახა გამოფენა. ჩვენ ხომ არა ვართ განებივრებულები მსგავსი სიამოვნებებით. ჩვენი სურვილი გავანდეთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გულნარა ტვილდიანს, რომელსაც ორგანიზაციული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და სულ მუდამ სიახლეებისა და ნოვაციების ინიციატორია. მისი მხარში დგომით ჩვენ მოვახერხეთ ვწვეოდით მუზეუმს. ორშაბათი დღე იყო და არ ვიცოდით, რომ მუზეუმი ისვენებდა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, სურვილი აგვესრულებინა. მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა ორგანიზება გაუკეთა და ჩვენ მუზეუმში შევედით. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა: ასეთი დიდი და ლამაზი ნახატები არასოდეს გვინახავს, ადამიანები თითქოს ცოცხლად გვიყურებდნენ და ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოს ისინი ჩვენს გვერდით იყვნენ, ჩვენ კი მათ სამყაროში აღმოვჩნდით. ძალიან მოგვეწონა პატრიარქის პორტრეტი, გიორგი საakაძე, ტყის პეიზაჟი, ნადირობა, ნათლობა და სხვა. ვუსურვებთ ბელას წარმატებებს და კიდევ მრავალ პერსონალურ გამოფენას უფრო დიდ და სახელოვან დარბაზებში. ამ დღით ძალიან ნასიამოვნები წამოვედით, მაგრამ ერთი უსიამოვნო განცდა მაინც გამოგვყვა: მუზეუმი ძალიან გასარემონტებელი და უეფექტოა. ალბათ მომავალში ამასაც მიეხედება. როგორც აქ გვითხრეს, მათ საცავში ბევრი უნიკალური და საინტერესო ნივთი ინახება, რომლის გამოსაფენადაც პირობები არ აქვთ. იმედი გვაქვს, ჩვენ ამ საგანძურის ნახვის საშუალება მოგვეცემა.

სოფელ ქვემო ქედის
საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლეები.

ფრთხილად, გრიპის სეზონია!

გრიპი მსოფლიოში ერთ -ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ინფექციაა. პერიოდულად მისი გავრცელება დიდ მასშტაბებს აღწევს და დიდი პრობლემა ხდება საზოგადოების ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანების, ქრონიკული დაავადებით შეპყრობილი პირებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

გრიპს იწვევს გრიპის ვირუსი, რომელთა რამოდენიმე ტიპი არსებობს. ცნობილია A, B, C ტიპის გრიპის ვირუსი. ეპიდემიოლოგიური მონაცემებით A ტიპის ვირუსს უნარი აქვს გამოიწვიოს დიდი აფეთქებები და შესაბამისად შესაძლებელია მისი უწყვეტი გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე. 2003-2004 წლებში გრიპის სეზონის განმავლობაში წამყვანი იყო H3N2 ტიპის ვირუსები, 2004 - 2005 წლებში – H1N1,

2008 - 2009 წლებში – H5N1, 2011 წ. ცირკულირებდა 3 სახის გრიპი H1N1; H3N2 და B ტიპის ვირუსები. 2012 — 2013 წლების გრიპის სეზონზე ლაბორატორიულად დადასტურებულია 196 H1N1 ტიპის და 10 B ტიპის ვირუსი. მათგან 19 შემთხვევა ლეტალური გამოსავლით დამთავრდა.

გამოვლენის მაჩვენებლები სეზონური მატებისთვის დამახასიათებელი ზღვარის ფარგლებშია. მიმდინარე სეზონი, წინსწარი შეფასებით, არ გამოირჩევა განსაკუთრებული ინტესივობით. გრიპი დაფიქსირებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით - უპირატესად დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია, სამეგრელო). შემთხვევების მატების ტენდენცია აღინიშნება დედოფლისწყაროს რაიონში, 2013 წლის იანვარში დაფიქსირდა ზედა სასუნთქი გზების ინფექციების 57 შემთხვევა, თებერვლის თვეში კი დღეის მონაცემით აღრიცხულია 128 შემთხვევა. გრიპით ავადობის მომატებული რაოდენობა შენარჩუნებული იქნება კიდევ რამოდენიმე (სავარაუდოდ 3) კვირის განმავლობაში.

სეზონურად გავრცელებული გრიპის ვირუსით გამოწვეული დაავადების სიმპტომები არაფრით განირჩევა სხვა გრიპებისაგან. ხასიათდება მაღალი ცხელებით, საერთო ინტოქსიკაციით(თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილი), ხველა, ყელის ტკივილი, ღებინება, ფაღარათი.

გრიპით გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდირებულია:

- უმჯობესია დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში; ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას - დაავდების გავრცელებისაგან;
- ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანონ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;
- რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი;
- გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;
- იმ შემთხვევაში თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

გრიპის მძიმე მიმდინარეობის ნიშნებია:

- გახანგრძლივებული (3 დღეზე მეტი) მაღალი ცხელება (38 გრადუსზე მეტი);
- სუნთქვის გაძნელება;
- ქოშინი;
- ციანოზი;
- ტკივილი გულმკერდის არეში;
- სისხლიანი ან მოვარდისფერო ნახველის გაჩენა;
- ბავშვებში ღებინება ან ყლაპვის გაძნელება, კრუნჩხვები;

გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფებია:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი;
- დიაბეტით დაავადებულნი;
- მცირე და ხანდაზმული ასაკი;
- ორსულები.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

სპორტი

რაიონული პირველობა ძიუდოში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ინიციატივით გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში. ტურნირში მუნიციპალიტეტში არსებული ყველა ძიუდოს სკოლა მონაწილეობდა.საპრიზო ადგილებისთვის სხვადასხვა წონითი კატეგორიის ორმოცდაათზე მეტი დამწყები ფალავანი იბრძოდა.გამარჯვებულები ათ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ.

დედოფლისწყაროში რაიონის პირველობა წელს პირველად ჩატარდა.ტურნირის პირველი ეტაპი მიზნად ისახავდა საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენას მცირე ასაკობრივ ჯგუფებში. ორგანიზატორთა განცხადებით, ახლო მომავალში მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი უფროსი ასაკის ძიუდოისტთა შორისაც მოეწყობა.

27 თებერვალს დედოფლისწყაროს საჭიდაო დარბაზში რაიონის პირველობა 1996-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის გაიმართა.

სხვადასხვა წონით კატეგორიებში I ადგილის მფლობელები გახდნენ: ლაშა სეთურიძე, გელა წიკლაური, გიორგი თინაშვილი

ბექა ჩოხელი, ვაჟა ბუბუნაური, ლაშა ბექაური, ბექა გაგაძე

ნიკა ბურდული, გიორგი წიკლაური, ზაზა ბექაური

II ადგილს დაეუფლნენ: ომარ ბექაური, ირაკლი ლალიაშვილი, გიორგი დოჯურიშვილი, სანდრო ნატროშვილი, ნიკა კობაიძე, ამირან ბატიაშვილი, იმედა გაბიდაური, ვახტანგ მილაძე, გიორგი ნატროშვილი, გიორგი ხუციშვილი

III ადგილს დასჯერდნენ: დომენტი იაკობიშვილი, გიორგი გოგიშვილი, ბექა ბექაური, გიორგი შოშიაშვილი, ლევან გულიაშვილი, ვაჟა ძელური, ნიკა ხარხელაური, გიორგი ჟამიაშვილი, გიორგი აფციაური, ბაჩო სეხნიაშვილი, ნიკა გვრიტიშვილი

გამარჯვებულები დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილმა დაჯილდოვა.

მკლავჭიდი

3 მარტს ქალაქ ლაგოდეხში ჩატარდა ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორის, ამ რაიონის მკვიდრის, ვახტანგ შიხაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რიგით მეათე ტრადიციული ტურნირი. ტურნირი ღია რესპუბლიკური მასშტაბის იყო და მასში მონაწილეობდნენ ყველა რეგიონის და საქართველოს ნაკრები გუნდები. მათ შორის იასპარეზა დედოფლისწყაროს მკლავჭიდელთა ქედების ზონის გუნდმა.

შეჯიბრზე მონაწილეობდნენ ევროპის და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები. ამრიგად, დონე ძალიან ძლიერი იყო. ამ ფონზე დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სპორტსმენების მიერ მიღწეული შედეგები: 80 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა 18 წლის გელა ნეკრესელაშვილმა, ხოლო ზაზა კობაიძე, 90 კგ წონით კატეგორიაში, მესამე ადგილს დასჯერდა.

გუნდს ათეული წლებია, წვრთნის ამ საქმის დიდი გულშემატკივარი და ენთუზიაზსტი გელა ბექაური. ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები ჩვენს სპორტსმენებს.

ნაირა გორაშვილი

მონატრება

მაია ბოსტოღანაშვილი

მწარე სიკვდილმა მაინც წამართვა შენი სიცოცხლე, ჩემო მაიკო.

ბედნიერი დედა ვიყავი, სამ შვილსა გზრდიდით და თქვენით ვხარობდი, მაგრამ...

როცა შენი მძიმე ავადმყოფობის შესახებ გავიგე, ღმერთს ცრემლებით ვევედრებოდი, მეც შვილმკვდარ დედათა სიაში არ ვყოფილიყავი. თუმცა, დღეს შენ იქ ხარ უფალთან, სადაც შენი ადგილი უნდა დაგემკვიდრებინა.

ყველასთვის მეხის დაცემა იყო შენი დაკარგვა. შენი ძმა-სოსო და დაიკო თამილა დიდხანს გონზე ვერ მოდიოდნენ, გამწარდა ყველა შენი ახლობელი.

შენი საკუთარი ოჯახი გქონდა და შენს წილ ტკბილ-მწარე ცხოვრებას მოთმინებით იტანდი. შენი შვილების - ვანიკოს და ნიკას, რძლის ეკასა და პატარა შვილიშვილის - მარის სიყვარულით მაინც ხარობდი, მაინც ამაყობდი და ჩვენი თანადგომით უძლებდი გაუსაძლის პირობებს.

ახლა გავიდა ჩვენი დაშორებიდან უმძიმესი 3 წელი. 12 მარტი ჩვენს გულებში შენი დაკარგვის დღედ ჩაიწერა. ეს დღე ყოველთვის დიდ ტკივილს განმიახლებს. 35 წელი, რა ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის სიცოცხლე. მე მაინც დაგელოდები, ჩემო მაიკო, ვიცი, შენ ალბათ მანდ შენს ავადმყოფობ მამას უვლი.

ილოცე, ჩემო გაუხარელო შვილო, შენი ახლობლებისათვის. ჩვენ კი წმინდა სანთელს არ მოგაკლებთ. ერთი კითხვის პასუხს დღესაც ვეძებთ - დაბრუნდები კი ოდესმე, მაიკო? ალბათ, მხოლოდ სიზმრებში, არა შენ ვერ დაბრუნდები, მე მოვალ შენთან, ჩემო შვილო!

შენი ლოდინით დაღლილი
დედა ლილი, და თამილა, ძმა სოსო
ბოსტოღანაშვილები.

ყველიერი დაიწყო

ხორციელის, ანუ საშინელი სამსჯავროს კვირის შემდეგ მოდის დიდი მარხვის წინა კვირა, რომელსაც ყველიერის კვირა ეწოდება.

როგორც წესი, ყველიერის კვირა მოძრავია. წელს ყველიერი 11 მარტს იწყება და მთავრდება 17 მარტს. ეს არის მოსამზადებელი პერიოდი დიდი მარხვისთვის. ხსნილია რძის ნაწარმით, კვერცხით, თევზით ოთხშაბათის და პარასკევის ჩათვლით და იკრძალება ხორცის ჭამა.

დიდმარხვის განმავლობაში "დილისა" და "ძილის წინ" ლოცვების შემდეგ იკითხება ეფრემ ასურის ლოცვა. ამ ლოცვას ყველიერის კვირის სამშაბათ საღამოს, ოთხშაბათ დილას, ხუთშაბათ საღამოს და პარასკევ დილას ვამბობთ, შემდეგ კი — შენდობის კვირის საღამოდან მთელი დიდმარხვის განმავლობაში ვნების კვირის ოთხშაბათ დილის ჩათვლით. ეფრემ ასურის ლოცვას არ ვასრულებთ პარასკევ საღამოდან კვირა დილის ჩათვლით.

მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ჩვეულებისამებრ, ყველიერის კვირას ქრისტიანები ერთმანეთს სთხოვენ შენდობას. ამიტომ ამ დღეს შენდობის კვირაც ეწოდება.

რას გვეტყვი, მამაო?

• შეიძლება თუ არა ერთი ბავშვის ნათლია ორი და იყოს?

ორი დის მიერ ბავშვის მონათვლა დანაშაული არ არის. მთავარია, ნათლიებს გააზრებული ჰქონდეთ მათი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე და ნათლულის ქრისტიანულად აღზრდისათვის იზრუნონ.

• ჩემი ნათლია რამდენიმე წელია უცხოეთში წავიდა და დაიკარგა. ძალიან მაწუხებს ეს ამბავი. რა შემიძლია გავაკეთო მისთვის ან ვინ უნდა შეასრულოს ჩემთვის ნათლიის მოვალეობა?

ნათლიის მოვალეობაა ნათლულის სწორ გზაზე დაყენება და იმაზე ზრუნვა, რომ უფალს არ დაშორდეს. ასეთი მოვალეობა თქვენთვის მშობლებმა და იმ ახლობლებმაც შეიძლება შეასრულონ, რომლებიც მუდამ თქვენ გვერდით არიან. ბუნებრივია ამასვე გააკეთებს თქვენი სულიერი მამა — მოძღვარიც. შესაძლოა თქვენი ნათლია განსაცდელშიც არის და ამიტომ ვერ შეძლო ხმის მოწვდენა. გირჩევთ, ილოცოთ მისთვის.

• მინდა ჩემს შვილს რამდენიმე ნათლია ჰყავდეს. გთხოვთ განმიმარტოთ, ეკლესიურად განსაზღვრულია თუ არა ნათლიების რაოდენობა.

უპირველესად გაითვალისწინეთ ის, რომ ნათლობა არა მხოლოდ ოჯახების დანათესავებაა, არამედ ნათლიას უდიდესი მოვალეობა ეკისრება ღვთისა და ნათლულის წინაშე. ნათლია მუდმივი თანამდევი უნდა იყოს ნათლულისა, რათა ის ქრისტიანულ ცხოვრებას არ ჩამოშორდეს. ამ მოვალეობის შესრულება ერთ ადამიანსაც შეუძლია. შეგიძლიათ ბავშვი რამდენიმე ადამიანსაც მოანათვლინოთ. მაგრამ აქაც, ისე როგორც ყოველ საქმეში, შეეცადეთ ზომიერება დაიცვათ.

ცოლისდა ლილი პოპიაშვილი, ცოლიდისშვილები: მურადი, ფიქრია ქადაგიძეები; შვილიშვილები: ლანა, თიკო, გივი და გოჩა ქადაგიძეები, ქეთი და მარი ლაპიაშვილები; რძალი ლია ჯანიაშვილი; სიძეები: გელა ლაპიაშვილი და აგასიკა ავლაჯანიანი, შვილთაშვილი ლუსიკა იუწყებიან სიძის

გივი ათანელიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ნანა პოპიაშვილის ოჯახს.

მეზობლები: ლენა კოკილაშვილი, ზაირა ალუღიშვილი, იზოლდი პოპიაშვილი, სეილან ლაპიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა პოპიაშვილის ოჯახს მეუღლის

გივი ათანელიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: ლენა კოკილაშვილი, ზაირა ალუღიშვილი, სეილან ლაპიაშვილი, ელდინოზა მოსაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ სონია ალუღიშვილის ოჯახს მეუღლის

ვალიკო ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

გოგი კიკილაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ლალი და თამაზ აბაშიძეებს, მარინა და ნუკრი ცქიტიშვილებს დედის

რუსუდან წერეთელ - ცქიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი და გაზეთ „შირაქის“ რედაქცია იუწყება კოლეგის - სიღნაღის რაიონული გაზეთის ყოფილი რედაქტორის

ჟიული საამიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ოლიმპიური ჩემპიონობა - ძმები ნათათრალაშვილების მიზანი

23 თებერვალს თბილისში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის სპორტულ კომპლექსში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ძიუდოში, სადაც 1996-97 წლებში დაბადებული ჭაბუკები ასპარეზობდნენ.

ჩემპიონატზე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დედოფლისწყაროს მკვიდრმა, 16 წლის ბექა ნათათრალაშვილმა დაისაკუთრა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ბექა ნათათრალაშვილი საქართველოს ჩემპიონი მეოთხედ გახდა.

ამ ჩემპიონატის შემდეგი ნაბიჯი ევროპის ჭაბუკების ოლიმპიადა და მსოფლიო პირველობაა, რომელიც რამდენიმე თვეში გაიმართება.

მიუხედავად ასაკისა, ბექას მიღწევები ასე გამოიყურება: 4-ჯერ საქართველოს ჩემპიონი, 2-ჯერ საქართველოს პრიზიორი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი. ამასთან, წარმატებული იყო მისთვის სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებიც: ბაქო — „ევროპის თასი 2010“; ერევანი — „ევროპის თასი 2010“; ანტალია — „ევროპის თასი 2012“; უკრაინა — „ევროპის თასი 2012“ და ევროპის ჩემპიონატი „მონტენეგრო 2012“ ევროპის ვიცე ჩემპიონი.

სპორტის ამავე სახეობას მისდევს ბექას უფროსი ძმა გიორგი ნათათრალაშვილიც. როგორც მათთან საუბრისას ვიგებ, ქვემო ქედელი ძმები ნათათრალაშვილები სპორტის ამ სახეობის ანაბანას მწვრთნელმა კახა წიკლაურმა აზიარა. ძიუდოზე სიარული 10 წლის ასაკში დაიწყეს. თუმცა, მანამდე სპორტის ამ სახეობისადმი სიმპათია მამამ და პაპამ ჩაუნერგეს.

„როცა პატარები ვიყავით, პაპა, რომელიც ყოფილი მოჭიდავე იყო, მუდმივად გვავარჯიშებდა და ერთმანეთს გვაჯიბრებდა. სწორედ ამ დროს გაიხსნა ძიუდოს კლუბი სოფელ არხილოსკალოში და მისი სურვილით ამ კლუბში მოვხვდით. რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ ავირჩიეთ სპორტის ეს სახეობა და არა სხვა, ეს იმიტომ რომ ჩვენი აზრით ეს სპორტის ყველაზე ლამაზი სახეობაა და საკმაოდ წარმატებული საქართველოში,“ — ამბობენ ძმები.

უფროსი ძმის, გიორგის სპორტული მიღწევები ასე გამოიყურება:

2009 წელს საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში, 2012 წელს მსოფლიოს პრიზიორი, 2012 წელსვე საქართველოს ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული... ასევე, ამავე წელს გერმანიასა და საბერძნეთში ევროპის თასის პრიზიორი და მსოფლიოს პრიზიორი ბულგარეთის ქალაქ სოფიაში.

ამჟამად ბექა აგვისტოში აშშ-ში, მაიამის შტატში მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად ემზადება. მანამდე, მარტის თვეში გერმანიაში, შემდეგ კი მაისსა და ივნისში პოლონეთსა და ჰოლანდიაში გაემგზავრება ევროპის თასის ჩემპიონატზე. სექტემბერსა და ოქტომბერში ევროპასა და მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებას გეგმავს გიორგიც.

„ღმერთის წყალობით დიდი სპორტსმენები გვინდა გავხდეთ და დიდ სპორტში ვიჭიდაოთ, ესაა ჩვენი მიზანი. უმაღლესი მწვერვალი, როგორც ყველა სპორტსმენის ცხოვრებში, ჩვენი ოცნებაც არის ოლიმპიური ჩემპიონობა. იმედია, შევძლებთ,“ — გვიმხელენ ძმები ნათათრალაშვილები.

საუბრის დასასრულს, ვინტერესდები, ჰყავთ თუ არა ძმებს კუმირი, ვის ბაძავენ, ვინ არის მათთვის მაგალითი, თუმცა ჩემთვის მოულოდნელად, ამბობენ, რომ გამორჩეულად არავის აღმერთებენ. მათი თქმით, ბევრი დიდი სპორტსმენი არის, ბევრი მოსწონთ, თუმცა ვერავის გამოარჩევენ.

გაცილებით მასშტაბურ ასპარეზობამდე ცოტა დრო რჩება, ძმები თბილისში, სპორტულ კლუბ „შევარდენში“ მოემზადებიან. მათ პროფესიულ ზრდაზე ამჯერად გურამ მოდებაძე და ლექსო ღვინიაშვილი იზრუნებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

სპორტი

2 პირველი,2 მეორე და 5 მესამე ადგილი ღია ჩემპიონატზე სანდაში

2-3 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა მესამე ღია ჩემპიონატი უშუ-ში, სადაც მონაწილეობას სრული შემადგენლობით იღებდა კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაციის ნაკრები გუნდი გიორგი ცისკარაულის ხელმძღვანელობით. კახეთის ფედერაციის ნაკრები გუნდი დაკომპლექტებული იყო დედოფლისწყაროს და ახმეტის გუნდების სპორტსმენებისგან, დედოფლისწყაროდან მონაწილეობას ათი სპორტსმენი იღებდა ათივემ საპრიზო ადგილი მოიპოვა.

როგორც ფედერაციიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, ჩემპიონები გახდნენ 40 კგ წონით კატეგორიაში დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკა ჩიტიშვილი და აბსოლუტურ (90+) წონით კატეგორიაში ნაჰიბ ალიევი.

ამ უკანასკნლს პირველი ბრძოლა 109 კგ, წლოვანებით უფროს სპორტსმენთან მოუწია და პირველივე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა. ხოლო ფინალურ ბრძოლაში მეორე რაუნდში მონინააღმდეგეს საკმაოდ ძლიერი დარტყმები მიაყენა, ნოკდაუნში ჩაგდება მოახერხა და ჩემპიონის ტიტულსაც დამსახურებულად დაეუფლა.

მეორე ადგილებზე გავიდნენ: ლევან წიკლაური (ხორნაბუჯის საჯარო სკოლა), გიორგი მარტყოფლიშვილი (№1 სკოლა) და სერგო პეტროსიანი (ხორნაბუჯის საჯარო სკოლა), ხოლო მესამე ადგილები დაიკავეს: ლუკა პოპიაშვილმა, ილია დაიაურმა, ნიკა გლახოშვილმა, ლაშა ბიჩელაშვილმა და კახა კარატიელმა.

შეჯიბრის წინა დღეს 2 მარტს ჩატარდა უშუს ეროვნული ფედერაციის და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის ორგანიზებით სამსაჯო სემინარი, რომელიც ასევე წარმატებით გაიარეს და ლიცენზიები გადაეცათ კახეთის უშუს ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი ცისკარაულს და გენერალურ მდივანს ილია დაიაურს.

კახეთის ფედერაცია მადლობას უხდის გაწეული დახმარებისთვის და გვერდში დგომისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს, მის მოადგილეს და ასევე, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ნინო ბახუტაშვილს.

„რომ არა მათი გვერდში დგომა, გუნდი ვერ მოახერხებდა შეჯიბრში მონაწილეობას. აქამდე მთავრობის ყველა უწყებისგან მივიწყებულ სპორტს, როგორც იქნა, ყურადღება მიექცია და შედეგებმაც არ დააყოვნა. ფედერაცია ასევე მადლობას უხდის ბატონ ილია ჯინაშვილს რომ არა მისი გვერდში დგომა, დღეს სპორტსმენებს არ ექნებოდათ სავარჯიშო დარბაზი. ამასთან, დედოფლისწყაროში მოზარდების მხრიდან სპორტის ამ სახეობაზე დაინტერესება გაიზარდა. მოგეხსენებათ, მსოფლიო ოლიმპიურმა კომიტეტმა უშუ შეიტანა ოლიმპიურ სახეობათა კანდიდატ სპორტად და აღიარა როგორც ერთ-ერთი დახვეწილი სპორტის სახეობა. ეს შეჯიბრი ორგანიზებული იყო თბილისის უშუს ფედერაციის მიერ, შეთანხმებული იყო ეროვნულ ფედერაციასთან და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან,“ — განუცხადა „შირაქს“ კახეთის უშუს ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ცისკარაულმა.

შეგახსენებთ, კახეთის უშუს ფედერაცია დედოფლისწყაროში ახლახანს შეიქმნა.

ილია მარტყოფლიშვილი

ჩვენო საყვარელო ვალერი და მედეა, გილოცავთ ქორწინებას, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და აკვანთა სიმრავლეს, ყოფილიყავით უფლისგან დალოცვილები და კურთხეულნი, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი მთელი ცხოვრების მანძილზე. ჩვენო მედეა, გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს, სულ მუდამ გაზაფხულივით ლამაზი და კოპწია გვეგულებოდე.

შენი ბიძაშვილები ჯანაშვილები.

მადლიერება

ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ ჩემი 9 წლის შვილიშვილი კატო გვენეტაძე სექტემბრის თვიდან დროებით ჩემთან არის საცხოვრებლად. ამ მომენტმა დიდი საფიქრალი გამიჩინა და არჩევანის წინაშე დამაყენა - ქალაქის რომელ სკოლაში მიმეყვანა ბავშვი. მივიკითხე-მოვიკითხე და არჩევანი კერძო სკოლა „ბენაურზე“ შევაჩერე. არც შევმცდარვარ. ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ სკოლის თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს სრულყოფილი ცოდნა. ამის საფუძველს იძლევა როგორც პედაგოგთა კვალიფიკაცია, ასევე ის რეჟიმი, რომლითაც სწავლობენ აქ - მცირერიცხოვანი კლასები. მინდა მადლიერება გამოვხატო ამ სკოლის პედაგოგების, მისი დირექტორის პროფესორ ცაცა ბენაშვილის და ჩემი შვილიშვილის მასწავლებლების მიმართ, მივულოცო მათ გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები - დედის და ქალთა დღეები. ვუსურვო წარმატებები თავიანთ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით, ლია ხუციშვილი

ინკუბატორი დედოფლისწყაროში

წარმოებს კვერცხის მიღება და ჩაწყობა ყოველდღიურად!

მიიღება წინასწარი შეკვეთები წიწილებზე.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას 14.

კულტურის სახლის უკან, შესასვლელი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან.

ტელ: 579 330 741; 557 238 899; 790 408 215;

თამაზ მამულაშვილი

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ იწყებს „ხსოვნის წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება.

„ხსოვნის წიგნში“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 09. 03		კვირა 10. 03		ორშაბათი 11. 03		სამშაბათი 12. 03		ოთხშაბათი 13. 03		ხუთშაბათი 14. 03		პარასკევი 15. 03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
10 °	4 °	9 °	8 °	9 °	8 °	12 °	8 °	10 °	9 °	12 °	11 °	17 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K